



2025 წლის ივლისის თვის
მაკროეკონომიკური გარემოს

მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის
საბიუჯეტო ოფისი

2025

აგვისტო

2025 წლის ივლისის თვის მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები*

2

რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი

6.3%




ივნისი*

რეალური მშპ-ს ზრდის ტემპის ექვსი თვის საშუალო მაჩვენებელი


8.3%

2025 წლის ივნისში სამომხმარებლო ფასების წლიურმა ინფლაციამ 4.3% შეადგინა, ხოლო საბაზო ინფლაცია 2.2%-ით განისაზღვრა.




იანვარ - ივნისში* საქონლის ექსპორტი 13.7%-ით, ხოლო იმპორტი 12.4%-ით გაიზარდა.

ექსპორტი 3,234. იმპორტი 8,699.3 მლნ დოლარი




ივნისში* ფულადმა გზავნილებმა 315.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.


ევროკავშირის ქვეყნები - 44.4%;
 აშშ - 18.6%;
 რუსეთი - 13.0%;
 სხვა ქვეყნები - 23.9%.





ივნისში*, წინა თვესთან შედარებით, დოლარიზაციის მაჩვენებელი, დეპოზიტებზე შემცირდა, ხოლო სესხებზე გაიზარდა.



ივლისში, წინა თვესთან შედარებით, ლარი აშშ დოლართან 0.5%-ით გამყარდა, ხოლო ევროსთან მიმართებით კი 1.1%-ით გაუფასურდა.



1. რეალური და ფისკალური სექტორი



2025 წლის ივნისში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ეკონომიკური ზრდა 6.3%-ის ნიშნულზე დაფიქსირდა.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, 2025 წლის ივნისში*, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 6.3%, ხოლო იანვარ-ივნისის საშუალო მაჩვენებელმა 8.3% შეადგინა.



ეკონომიკურ ზრდაში მნიშვნელოვანი დადებითი წვლილი შეიტანა: ინფორმაცია და კომუნიკაცია, დამამუშავებელი მრეწველობა, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები, ტრანსპორტი და დასაწყობება, ვაჭრობა.



დღგ-ის საწარმოთა ბრუნვის მაჩვენებელმა 2025 წლის ივნისში* 14,779.1 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 8.7%-ით აღემატება.

2025 წლის ივლისში სამომხმარებლო ფასების წლიურმა ინფლაციამ 4.3% შეადგინა.

ივლისში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, ინფლაციის დონე 4.3%-ით განისაზღვრა, ანუ მიზნობრივი ინფლაციის 3.0%-იან მაჩვენებელზე შედარებით მაღალი. წლიური ინფლაციის ფორმირებაზე გავლენა იქონია, ძირითადად, ფასების დინამიკამ სურსათსა და უაღკოპლო სასმელებზე, აგრეთვე - ჯანმრთელობის დაცვაზე და ტრანსპორტზე. ივლისში საბაზო ინფლაცია (სურსათის, ენერგომატარებლების, სიგარეტის ფასების გარდა, რომლებიც მაღალი მერყეობით ხასიათდებიან) 2.2%-ით განისაზღვრა.

2025 წლის ივნისში* მშპ-ის წლიურმა საპროცნობო დეფლატორმა 3.9% შეადგინა.





2025 წლის ივნისში* ნაერთი ბიუჯეტის დადებითი მთლიანი სალდო დაფიქსირდა.


ივნისში*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები 4.6%-ით, ხოლო ხარჯები 26.0%-ით გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდში ნაერთი ბიუჯეტის დადებითი საოპერაციო სალდო 608.2 მლნ ლარით, ხოლო დადებითი მთლიანი სალდო 246.1 მლნ ლარით განისაზღვრა.

აღსანიშნავია, რომ 2025 წლის ივნისში* საგადასახადო შემოსავლებმა 2,386.7 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 20.6%-ით აჭარბებს. ამავე პერიოდში გაიზარდა დღგ (22.7%-ით), ქონების გადასახადი (13.8%-ით), საშემოსავლო გადასახადი (12.4%-ით), აქციზი (10.8%-ით) და იმპორტის გადასახადი (0.4%-ით). შემცირდა მოგების გადასახადი (35.9%-ით). პირდაპირი გადასახადების წილმა მთლიან გადასახადებში 53.4%, ხოლო არაპირდაპირმა გადასახადებმა 46.6% შეადგინა. ივნისში*, წინა წლის შესაბამის მონაცემთან შედარებით, არაფინანსური აქტივების შეძენის 20.1%-იანი კლება (113.8 მლნ ლარით ნაკლები) დაფიქსირდა.


2025 წლის ივნისში*, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ეროვნულ ეკონომიკაზე როგორც ლარში, ასევე უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები გაიზარდა.

ივნისში*, წინა წლის ივნისთან* მიმართებით, კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემულმა სესხებმა 15.4%-ით მოიმატა და 64,006 მლნ ლარი შეადგინა. მათ შორის, ლარში გაცემული სესხები 19.5%-ით, ხოლო უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები 10.2%-ით გაიზარდა. კომერციული ბანკების მიერ გაცემულ სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელმა 43.0% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული სესხების ნახევარზე მეტი (53.0%) შინამეურნეობებზე მოდის (შინამეურნეობებზე გაცემული სესხების 85.1% ფიზიკურ პირებზეა, 14.9% კი ინდემნარმეებზე). შინამეურნეობებზე გაცემული სესხების 37.4% სამომხმარებლო სესხია, ხოლო 62.6% უძრავი ქონებით არის უზრუნველყოფილი. საქმიანობის სახეების მიხედვით, გაცემულ სესხებში ყველაზე მეტი - 21.3% გაცემულია ვაჭრობის დარგში, 20.9% - მშენებლობის, 16.8% - მრეწველობის, 14.7% - უძრავი ქონებით ოპერაციების, 6.1% - სასტუმროებისა და რესტორნების დარგში.


შემოსავლები და ხარჯები (მლნ ლარი)



სესხები საქმიანობის სახეების მიხედვით (ნაშთები)



2. საგარეო სექტორის ინდიკატორები




2025 წლის იანვარ-ივნისში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, გაიზარდა როგორც საქონლის ექსპორტი, ისე იმპორტი.

2025 წლის იანვარ-ივნისში* ექსპორტმა 13.7%-ით, ხოლო იმპორტმა 12.4%-ით მოიმატა, რის შედეგადაც სავაჭრო ბრუნვა (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 12.8%-ით გაიზარდა და 11,934.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ექსპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 27.1%-ით განისაზღვრა. უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნებიდან ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნა ბულგარეთში (107%), აგრეთვე - უზბეკეთში (57%), ყირგიზეთში (50%), ჩინეთი (21%), ყაზახეთში (17%), აზერბაიჯანში (7%), შვეიცარიაში (6%) და სხვა ქვეყნებში. ექსპორტი შემცირდა თურქეთში (30%), სომხეთში (11%), რუსეთში (2%) და სხვა.


იანვარ-ივნისში* საექსპორტო საქონლის მიხედვით, ზრდა დაფიქსირდა: ძვირფასი ლითონების მადნების (72%), უალკოჰოლო სასმელების (38%), მსუბუქი ავტომობილების (30%), ოქროს (19%), აზოტოვანი სასუქების (13%), სამკურნალო საშუალებების (12%), მინერალური და მტკნარი წყლის (12%) ჯგუფებში. შემცირდა ფეროშენადნობების (33%), ნატურალური ღვინის (22%), სპირტიანი სასმელების (7%) საზღვარგარეთ გატანა.

უმსხვილესი საექსპორტო საქონელი
(იანვარი - ივნისი)




2025 წლის იანვარ - ივნისში* ტრანსპორტირების სახეების მიხედვით ექსპორტის უდიდესი ნაწილი - 72.5% საავტომობილო ტრანსპორტით განხორციელდა, 19.1% - საზღვაო, 4.2% - საჰაერო, 3.6% სარკინიგზო ტრანსპორტით. ტრანსპორტირების დანარჩენი (მაგისტრალური მილსადენი, ელექტროგადამცემი ხაზები და სხვა) საშუალებების წილმა მხოლოდ 0.6% შეადგინა.

ექსპორტი ტრანსპორტირების სახეების მიხედვით
(იანვარი - ივნისი)




ამავე პერიოდში იმპორტის მნიშვნელოვანი ნაწილი - 43.2% საავტომობილო ტრანსპორტირებით განხორციელდა, 36.1% - საზღვაო, 12.3% - საჰაერო, 5.4% კი სარკინიგზო ტრანსპორტით. ტრანსპორტირების დანარჩენი სახეების წილმა 3.0% შეადგინა.

იმპორტი ტრანსპორტირების სახეების მიხედვით
(იანვარი - ივნისი)




იანვარ-ივნისში* საქართველოს ადგილობრივი ექსპორტი 1,473.6 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 6.4%-ით მეტია. აღნიშნულ პერიოდში 10 უმსხვილეს ქვეყანას, სადაც ადგილობრივი ექსპორტი განხორციელდა, წარმოადგენდა: რუსეთი (მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 21%), ჩინეთი (11%), თურქეთი (10%), სომხეთი (6%), ბულგარეთი (6%), აზერბაიჯანი (5%), შვეიცარია (4%), ყაზახეთი (3%), უკრაინა (3%), იტალია (3%).

ფულადი გზავნილები (%)
ჩარიცხვები, მაისი



მთლიანი საერთაშორისო რეზერვები
(მლნ აშშ დოლარი)



2025 წლის ივნისში* ფულადი გზავნილები გაიზარდა.

ივნისში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, საქართველოში ფულადი გზავნილების ჩარიცხვები 12.2%-ით გაიზარდა და 315.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (140.2 მლნ აშშ დოლარი, გზავნილების მთლიანი ოდენობის 44.4%) და აშშ (58.7 მლნ აშშ დოლარი, 18.6%) წარმოადგენდნენ.

რუსეთიდან გზავნილები 15.9%-ით შემცირდა და 41.1 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა (წილი 13.0%).


საანალიზო პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ფულადი გზავნილების ოდენობა იტალიიდან (51.6 მლნ აშშ დოლარი, წილი 16.4%), აგრეთვე - გერმანიიდან (27.2 მლნ აშშ დოლარი), საბერძნეთიდან (25.7 მლნ აშშ დოლარი), ისრაელიდან (24.0 მლნ აშშ დოლარი), ყირგიზეთიდან (9.3 მლნ აშშ დოლარი), თურქეთიდან (9.2 მლნ აშშ დოლარი), ესპანეთიდან (8.2 მლნ აშშ დოლარი) და სხვა ქვეყნებიდან.

2025 წლის ივლისში საერთაშორისო რეზერვებმა 5,020 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ივლისში, საერთაშორისო რეზერვების მოცულობა 5,020 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც 2024 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით, 7.5%-ით, ხოლო წინა თვესთან მიმართებით კი 7.1%-ით გაიზარდა.

2025 წლის ივლისში საქართველოს ეროვნულ ბანკს სავალუტო აუქციონზე ოპერაციები არ განუხორციელებია.

რეზერვების ადეკვატურობის შესაფასებლად, როგორც წესი, გამოიყენება 3 თვის იმპორტის ზრადი. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ბმულე.



3. მონეტარული სექტორის ინდიკატორები

2025 წლის ივნისში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მონეტარული ბაზა გაიზარდა.

ივნისში*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მონეტარულმა ბაზამ 18.3%-ით მოიმატა. მათ შორის, მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფული 9.6%-ით, ხოლო სხვა დეპოზიტური კორპორაციების მიმართ ვალდებულებები 28.5%-ით გაიზარდა.


ამავე პერიოდში ფულის M2 აგრეგატმა 10.2%-ით მოიმატა, ხოლო M3 აგრეგატის ზრდის ტემპი 11.5%-ს გაუტოლდა. 2025 წლის ივლისში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, სამომხმარებლო ფასების ინფლაციამ 4.3% შეადგინა.

2025 წლის ივნისში*, კომერციული ბანკების მიერ მოზიდულმა დეპოზიტების საერთო მოცულობამ (ნაშთმა) 62,187.6 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 9.4%-ით აღემატება. მათ შორის, ეროვნულ ვალუტაში განთავსებულმა დეპოზიტებმა 49.6% შეადგინა, შესაბამისად, უცხოურ ვალუტაში განთავსებულმა დეპოზიტებმა კი 50.4%.

ივნისის* თვის ბოლოს არსებული მონაცემებით, ეროვნულ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 62.3% იურიდიულ პირებს, ხოლო 37.7% ფიზიკურ პირებს ეკუთვნის.


ამავე პერიოდში უცხოურ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 67.2% ფიზიკური პირების საკუთრებაა, ხოლო 32.8% იურიდიული პირების მფლობელობაშია.

ფულის მასა და სამომხმარებლო ფასები (%-ლი ცვლილება)




2025 წლის ივლისში მთავრობის მიერ ემიტირებულმა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნომინალურმა ღირებულებამ 10,575.8 მლნ ლარი შეადგინა. მათ შორის: 73.4% კომერციული ბანკების მფლობელობაშია, 12.0% - ეროვნული ბანკის, ხოლო 14.6% სხვა რეზიდენტი და არარეზიდენტი კლიენტების მფლობელობაში (რეზიდენტი - 13.5%, არარეზიდენტი - 1.1%).

სახაზინო ფასიანი ქაღალდები მფლობელების მიხედვით (ივლისი)




დეპოზიტები ივნისი



ეროვნულ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 52.6% ვადიანი დეპოზიტებია, 24.0% მოთხოვნამდე დეპოზიტები, ხოლო 23.4% მიმდინარე ანგარიშები. უცხოური ვალუტის შემთხვევაში, ყველაზე დიდი წილი ვადიან დეპოზიტებს უკავია (42.7%), შემდეგ - მოთხოვნამდე დეპოზიტებს (32.9%) და მიმდინარე ანგარიშებს (24.3%).

დეპოზიტები და დოლარიზაციის კოეფიციენტი (მლნ ლარი, %)




2025 წლის ივნისში*, წინა თვესთან შედარებით, დოლარიზაციის მაჩვენებელი დეპოზიტებზე შემცირდა, ხოლო სესხებზე გაიზარდა.

ივნისში*, წინა თვესთან მიმართებით, დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი 0.50 კპ-ით შემცირდა და 47.3%-ით განისაზღვრა, სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელი კი 0.22 კპ-ით გაიზარდა და 43.0% შეადგინა.


ივნისის თვეში*, წინა თვესთან შედარებით, ეროვნული ვალუტით განთავსებული დეპოზიტები 3.7%-ით, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების მოცულობა 1.6%-ით გაიზარდა.

სესხები და დოლარიზაციის კოეფიციენტი (მლნ ლარი, %)




2025 წლის ივნისში*, სამომხმარებლო სესხების მოცულობამ 13,187.8 მლნ ლარი შეადგინა, ანუ წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 23.9%-ით მეტი. მათ შორის, გრძელვადიანი სესხების წილი 96.7%-ია, ხოლო მოკლევადიანის - მხოლოდ 3.3%.

სამომხმარებლო სესხები (ივნისი)



ამავე პერიოდში, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების მოცულობამ 43,342.2 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 14.3%-ით აღემატება. აქედან, ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების წილი 49.6%-ია, ხოლო უცხოური ვალუტით - 50.4%.

უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები (ივნისი)




ივნისის* ბოლოს არსებული მონაცემებით, რეგიონების მიხედვით, კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ვალუტაში სესხების 63.7% გაცემულია თბილისში, 7.6% - იმერეთში, 7.4% - აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, 5.0% - კახეთში, 4.7% - ქვემო ქართლში, 4.1% - სამეგრელო-ზემო სვანეთში. სხვა რეგიონებში გაცემული სესხების წილი შედარებით მცირეა.

2025 წლის ივნისში*, წინა თვესთან მიმართებით, საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტებზე 0.1 პპ-ით, ხოლო სესხებზე 0.3 პპ-ით შემცირდა.


ივნისში*, საბაზრო საპროცენტო განაკვეთმა სესხებზე 13.5% შეადგინა, ხოლო დეპოზიტებზე 6.8%-ით განისაზღვრა. საპროცენტო განაკვეთის სპრედმა (სხვაობა სესხებსა და დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთებს შორის), ივნისის* მდგომარეობით, 6.7% შეადგინა, 0.78 პპ-ით მეტი წინა წლის ივნისთან შედარებით.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის 2025 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილებით, რეფინანსირების განაკვეთი უცვლელი დარჩა და კვლავ 8.0% შეადგინა.

ლარის გაცვლითი კურსის ინდექსები (ინდექსის ზრდა ნიშნავს ლარის გამყარებას, კლება - გაუფასურებას)



საბაზრო საპროცენტო განაკვეთები სესხებსა და დეპოზიტებზე (%)



2025 წლის ივლისში, წინა თვესთან შედარებით, ლარი აშშ დოლართან მიმართებით გამყარდა, ევროს მიმართ კი გაუფასურდა.

ივლისში, წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 0.5%-ით გამყარდა, ევროს მიმართ 1.1%-ით გაუფასურდა, ხოლო თურქულ ლირასთან მიმართებით 2.4%-ით გამყარდა. ამავე პერიოდში გამყარდა ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი. რაც შეეხება გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებას, ივლისში ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 0.7%-ით გამყარდა და ევროს მიმართ 6.6%-ით გაუფასურდა, ხოლო თურქულ ლირასთან მიმართებით 23.0%-ით გამყარდა.

ივლისის თვეში, პერიოდის საშუალო ლარის გაცვლითმა კურსმა აშშ დოლართან მიმართებით 2.71, ევროს მიმართ 3.18, თურქულ ლირასთან მიმართებით კი 0.07 შეადგინა.


4. სოციალური სფეროს მიმოხილვა

2025 წლის I კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი გაიზარდა.


2025 წლის I კვარტალში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიურმა ნომინალურმა ხელფასმა 2,170.1 ლარი შეადგინა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 11.7%-ით (226.7 ლარით) მეტი, ხოლო წინა კვარტალთან მიმართებით 2.1%-ით (47.5 ლარით) ნაკლებია.

რაც შეეხება დარგების მიხედვით საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის ცვლილებას, 2025 წლის I კვარტალში ყველაზე მაღალი საშუალო თვიური ხელფასი დაფიქსირდა საფინანსო და სადამბლვევო საქმიანობის (5,515.1 ლარის ოდენობით, ზრდა 22.0%), ინფორმაციისა და კომუნიკაციის (4,163.0 ლარის ოდენობით, 5.2% წლიური კლება), პროფესიული, სამეცნიერო-ტექნიკური საქმიანობის დარგებში (2,975.7 ლარი, ზრდა 11.3%), აგრეთვე მშენებლობის (2,908.9 ლარი, ზრდა 10.8%).

დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი (ლარი)



სახელმწიფო დანახარჯები განათლებაზე და ჯანდაცვაზე (მლნ ლარი)



2025 წლის ივნისში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, სახელმწიფო დანახარჯები როგორც განათლებაზე, ასევე ჯანდაცვაზე გაიზარდა.


ივნისში* განათლებაზე განუღმა ხარჯებმა (ფუნქციონალურ კლასიფიკაციაზე დაყრდნობით) 220.6 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემთან მიმართებით 2.2%-ით მეტია. ჯანდაცვაზე განუღმა ხარჯები კი 216.8 მლნ ლარით განისაზღვრა, ანუ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 84.8%-ით მეტი.

5. რეგიონული მიმოხილვა


2025 წლის ივლისში, რეგიონის ქვეყნებში, თურქეთის გარდა, სამომხმარებლო ფასების ინფლაცია დაახლოებით მსგავსი დინამიკით ხასიათდება.

კერძოდ, საანალიზო პერიოდში თურქეთში წლიურმა ინფლაციამ 33.5%, ხოლო სომხეთში 3.4% შეადგინა. რაც შეეხება აზერბაიჯანსა და რუსეთს, 2025 წლის ივნისის* მდგომარეობით, სამომხმარებლო ფასები, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, აზერბაიჯანში 6.0%-ით, რუსეთში კი 9.4%-ით გაიზარდა.

გაცვლითი კურსის წლიური ცვლილება ივლისი



წლიური ინფლაცია ივლისი



2025 წლის ივლისის თვეში, რეგიონის ქვეყნების ვალუტების გაცვლითი კურსები, აშშ დოლართან მიმართებაში, თურქული ლირისა გარდა, გამყარდა.

კერძოდ, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ივლისში აშშ დოლართან მიმართებით თურქული ლირა 18.1%-ით გაუფასურდა, ხოლო რუსული რუბლი 10.9%-ით, სომხური დრამი 1.1%-ით, ქართული ლარი 0.7%-ით, აზერბაიჯანული მანათი კი 0.01%-ით გამყარდა.

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შემაჯამებელი ცხრილები

	ივლ 24	აგვ 24	სექ 24	ოქტ 24	ნოვ 24	დეკ 24	იან 25	თებ 25	მარ 25	აპრ 25	მაი 25	ივნ 25	ივლ 25
მშპ-ს ზრდის ტემპი (%)	13.0	12.0	8.3	11.0	7.5	6.7	11.1	7.7	9.0	7.5	7.5	6.3	
დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი (%)	19.8	14.2	11.6	14.7	10.1	10.1	14.7	8.7	10.8	9.4	13.0	8.7	
ინფლაცია (%)	1.8	1.0	0.6	0.3	1.3	1.9	2.0	2.4	3.5	3.4	3.5	4.0	4.3
მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი (%)	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00
დეპოზიტების დოლარიზაცია (%)	0.47	0.46	0.46	0.47	0.49	0.50	0.49	0.51	0.50	0.49	0.49	0.48	
სესხების დოლარიზაცია (%)	0.44	0.44	0.44	0.43	0.43	0.43	0.44	0.43	0.43	0.43	0.43	0.43	
გაცვლითი კურსი (ლარი)	2.73	2.70	2.71	2.73	2.74	2.81	2.84	2.82	2.78	2.75	2.74	2.73	2.71
გზავნილები (ათასი აშშ დოლარი)	298,118	290,567	283,385	281,060	266,696	285,395	242,440	252,282	291,863	295,541	317,421	315,507	
ექსპორტი (მლნ აშშ დოლარი)	684	642	616	682	543	549	404	432	562	617	580	640	
იმპორტი (მლნ აშშ დოლარი)	1,568	1,456	1,444	1,506	1,476	1,699	1,700	1,227	1,509	1,501	1,389	1,373	
სავაჭრო ბალანსი (მლნ აშშ დოლარი)	-884.3	-815.3	-828.5	-824.4	-933.3	-1,149.3	-1,296.2	-796.0	-946.8	-884.0	-808.8	-732.8	
საერთაშორისო რეზერვები (მლნ აშშ დოლარი)	4,671	4,839	4,712	4,085	4,124	4,448	4,430	4,234	4,311	4,518	4,585	4,688	5,020
შემოსავლები (მლნ ლარი)	2,066	1,951	2,216	2,011	2,003	2,598	2,213	1,956	2,372	2,059	2,819	2,609	
მიმდინარე ხარჯები (მლნ ლარი)	2,193	1,531	1,599	1,937	1,721	2,648	1,932	1,851	1,955	1,940	1,872	2,000	
კაპიტალური ხარჯები (მლნ ლარი)	570	555	594	567	456	1,147	392	380	406	397	332	454	

ზრდა
 კლება
 ცვლილება < 1%

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება გასული წლის შესაბამისი თვის ანალოგიურ მონაცემებთან

		ივლ 24	აგვ 24	სექ 24	ოქტ 24	ნოვ 24	დეკ 24	იანვ 25	თებ 25	მარ 25	აპრ 25	მაისი 25	ივნ 25	ივლ 25
რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი													
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი													
	ინფლაცია													
მონეტარული სექტორი	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი													
	დეპოზიტების დოლარიზაცია													
	სესხების დოლარიზაცია													
	გაცვლითი კურსი													
სავაჭრო სექტორი	გზავნილები													
	ექსპორტი													
	იმპორტი													
	სავაჭრო ბალანსი													
	საერთაშორისო რეზერვები													
	შემოსავლები													
ფისკალური სექტორი	მიმდინარე ხარჯები													
	კაპიტალური ხარჯები													

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება წინა თვის ანალოგიურ მონაცემებთან

		ივლ 24	აგვ 24	სექ 24	ოქტ 24	ნოვ 24	დეკ 24	იანვ 25	თებ 25	მარ 25	აპრ 25	მაისი 25	ივნ 25	ივლ 25
რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი													
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი													
	ინფლაცია													
მონეტარული სექტორი	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი													
	დეპოზიტების დოლარიზაცია													
	სესხების დოლარიზაცია													
	გაცვლითი კურსი													
სავაჭრო სექტორი	გზავნილები													
	ექსპორტი													
	იმპორტი													
	სავაჭრო ბალანსი													
	საერთაშორისო რეზერვები													
	შემოსავლები													
ფისკალური სექტორი	მიმდინარე ხარჯები													
	კაპიტალური ხარჯები													

დოკუმენტი ინტერაქტიულ ფორმატში
შეგიძლიათ იხილოთ



ინტერაქტიული სტატისტიკა (ინფოგრაფიკები)
შეგიძლიათ იხილოთ

